

14 მეათათვე 1913 წ.

შილება სტრუნების კონტრა-ფასი  
1 წლ., — 5 მან. 6 თვ.— 2 გ.  
75 კ., 3 თვ.— 1 გ. 50 კ., 1  
თვ.— 50 კ. სოფლის მასწავლე-  
ბელთ, სამკითხველოებს და  
მისწავლების დაუთობათ 4 მან.



უოვალ კვირის საზოგადო-ეკონო-

მიური და სალიტერატურო ურჩალი

რედაქცია ლია 5 - 7 საათ.

მისამართი: თბილისი, გაბაევსკის პრ. № 3 რედაქცია „გლობუს“. დებუქია: თბილისი გლობუს.

**სარჩევი:** მორიგი საკითხი. — რ.—გესი. თბ. გუბ. გლეხთა სახ. ს.-სამ. თანხა. — აღ ყიფშიძისა. შოთა რესთავები. — ს. ქვარიცხისა. ტრადიციული ბეჭი. — ეკალისა. თრთ შანდილთასნა. — ოლ. ბეჭ-აგლაძისა. ქეში. — ნაცარასი. გუანი „ბრაბნ-დებლი“. — ი. გველესიანისა. საკომერაციო კუსების კამთ. ს. კ—ისა. სტარისტიკა ქართულ წიგნთა გამომცემდობისა. — ს. ახალი წიგნები. — \* \* სა. ბალგარეთის აშხები. — მეომარისა.

როგორც ხედავთ, დანიშნულება სიმპატიური ჰქონდა და კრიტიკა ამ დაწესებულებისა მხოლოდ იმ მხრიდან შეიძლება, თუ რამდენიდ აღწევდა ამ დანიშნულებას ან გარემოებათა მიხედვით და ან შინაგან უნარით.

როგორც ხუთი წლის პრაქტიკაშ გამოარყენია, მიწის სივიწროვე და მობილიზაცია არამცუ არ მცირდება, პირიქით უფრო ინტენსიური ხდება და ადგილობრივი მოსახლენი უფრო და უფრო შევიწროებულ მდგომარეობაში ვარდებიან; არამცუ ეხლა, სამერმისოდაც იმედი ესპობათ როდისმე შეუერთდნენ თავის მაცხოვრებელს დედა-მიწას. მოსული სომხობა, ოსობა, რუსობა, აღძრული ბუნებრივის მისწრაფებით კარგი მიწისადმი, თუ პოლიტიკური მიშართულებით — ყველა სკოლობს ხელთ ევდოს ჩვენი სამშობლო მიწა-წყალი. ამ ტალღას, რომელიც გვასკდება ყველა მხრიდან ამოსაგდებად, ერთს უდიდესმა ნაწილ — გლებობაშ, რომ შეგნებული გვყავდეს იგი, უნდა დაუპირდაპიროს მედგარი ბრძოლა არსებობისათვის და იმ ტერიტორიისათვის, რომელზედაც ათასწლობით ვცხოვრობდით და ვინოუებოდით; მაგრამ, ცალკე შეუგნებლობა, ცალკე 1905 წელს იქნა გამეფებული საერთო სიბრძავე, რომ „მიწა მაინც ჩვენ დაგვრჩებაო,“ საშინელ მდგომარეობასა ჰქმნის არა შარტო შეუგნებელ გლეხობისათვის, თვით შეგნებულ ადამიანისათვისაც, რადგან შეცვლა ამ ფსიხოლოგისა მეტად ძნელი ხდება და ამ დროს კი უცხოელნი გულის გულს გვესახლებიან.

## მორიგი საკითხი

რაც თავ. აზნაურობის წარსულ კრებაზედ ითქვა საადგილ-მამულო კომისიის შესახებ, ნათლად ამტკიცებს, რომ თვით კრების დამსწრეთ წარმოდგენილი და განზომილი არა აქვთ ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც უნდა მიეცეს ამ დაწესებულებას სწორედ ჩვენს დროში. წარმოთქმული სიტყვები, თუ კი მათ გულწრფელობაზედ ეჭვს არ შევიტანთ, მაჩვენებელნი არიან, რომ ნამდვილი აზრი, მიზანი ამ კომისიისა — ნაკლებადა აქვთ წარმოდგენილი და მის მისწრაფებათა დამაბრკოლებელ გარემოებათ თვით კომისიის შეცდომებათა სოვლიან.

ს.-მ. კომისია დაარსდა 1907 წელს იმ მიზნით, რომ მცირე მიწიან და უმიწაწყლო ადგილობრივ ცხოვრებთათვის შეენარჩუნებინა ის მიწა, რომელიც ჩატარის ტემპით გადადიოდა უცხოთა ხელში.

ასეთ მდგომარეობაში, არამცუუ ერთი თავ.-აზნაურული კომისია, არამედ ეროვნული კომიტეტები უნდა გვყვანდნენ გაფატულნი ყველგან პროვინციაში, რომელნიც გაფატიცებით აღევნებდნენ თვალყურს მიწის მოძრაობას და ფულით, ჩჩევით, მოქმედებით თუ სხვა რამ სალსარით - სასურველ კალაპოტში იყენებდნენ. ამისთანა სისტემატიურ და ბადესავით მოფენილ ორგანიზაციისათვის მეტად დიდი თანხებია საჭირო, რისათვისაც ჩვენ ძალა არ შეგვწევს და ის მცირედი მაინც რაცა აქვს საადგილმამულო კომისიას, უნდა ხეირიანად გამოვიყენოთ.

საადგილ-მამულო კომისიის თანხები შესდგებოდნენ ყოველწლივ გადადებულ მცირე ნაწილისაგან საზოგადო თავ.-აზნაურთა ბიუჯეტიდან და მისი წარმოებაც ნორმალურ პირობებში შეფერხებული იყო დეპუტატთა საკრებულოს ზეგავლენით, რომელიც ვერსოლებს ვერ განთავისუფლდება, რასაკვირველია სპეციალურ თავ.-აზნაურულ ტენდენციებისაგან.

როდესაც შარშანდელ კრებაზედ უსაყველურებლენ საადგილ-მამულო კომისიას უმოქმედობას, ან ისეთ საქმეებზედ დახარჯვას ენერგიისა და ფულისას, რომელნიც არ შეადგენენ მის პირდაპირ დანიშნულებას, ისარი ამ საყვედერებისა ყოველთვის იქ ესობოდა, საცა საადგილ-მამულო კომისია თვითონ იყო მხად ეჩივლა სხვაზედ. სწორედ ამისთანა ნაკლის გასასწორებლად იყო, სხვათა შორის, განზრახული წრევანდელ კრებაზედ უარყოფილი რეორგანიზაცია. რეორგანიზაციის პროექტი სწორედ შეგუებული იყო ცხოვრების პირობებთან, გამოწვეული იყო თვით კომისიის პრაქტიკით. ის რთული ორგანიზაცია, რომელიც აფერხებდა საადგილ-მამულო კომისიის მოქმედებას, უკუგდებული იყო, ის ნაკლები, რომელნიც ბევრჯელ ძირშივე სპონსორენ ზოგიერთ საქმეს—განდევნილნი. იქმნებოდა ისეთი, თითქმის დამოუკიდებელი დაწესებულება, რომელიც თავისუფლად ემსახურებოდა დანიშნულ მიზანს და მხოლოდ სისტიკი კონტროლი ექმნებოდა იმ შემთხვევისათვის, თუ ასცდებოდა თავის გზას, ან მკონარეობას გამოიჩინდა.

კრებამ უარპყო ეს პროექტი იმ მოსაზრებით, რომ ვითომ მის შემუშავებაში არ იღებდნენ მონაწილეობას ჩვენი საზოგადოების და დაწესებულებათა წარმომადგენელნი. ფაქტიურად ეს ასე არა ყოფილა, პირიქით, მთელი წლის განმავლობაში ყველა დაწესებულებათა წარმომადგენელნი იხილავდნენ და ამუშავებდნენ ამ პროექტს და თუნდა ესეც არა

ყოფილიყო, თვით პროექტის განხილვა შეიძლებოდა კრებაზედ იმის დასარწმუნებლად, რა რამდენად გამოსადეგი და მიზან-შეწონალი იყო იგი. ამ გზას კრება ასცდა და ისევ მოქმედებულება გზას დაადგა: ამოირჩიეს ცალკე კომისია ამ პროექტის შესამუშავებლად. თითქმის ორი წელიწადია, რაც საადგილ-მამულო კომისიის ბედი გამოურკვეველია, მისი წევრები არ დაიარებიან სამუშაოდ, საქმე ივინინებს და ყველა ეს იმ დროს, როცა ყოველ დღეს უარესი და უარესი ამბები მთაქვს მიწის გაყიდვასა და სხვათა ხელში გადასვლაზედ. ვინ იცის როდის შეიკრიბება კიდევ ახალი კომისია, როდის შეიმუშავებს ახალს პროექტს და როდის შეიძლება დაიწყოს ნაყოფიერი მუშაობა აქამდის მარწუხებში გაჩირულმა კომისიამ.

ჩვენის აზრით, თავ.-აზნაურობა მოვალეა რაც შეიძლება მალე შეუდგეს ამ საქმეს, შეიმუშაოს პროექტი რეორგანიზაციისა და არა უგვიანეს ღვინობისთვისა შეკრიბოს საგანგებო კრება, რომელიც საბოლოოდ გადასწყვეტს ამ საკითხს. ის გამოურკვეველი მდგომარეობა, რომელშიაც ეხლა იმყოფება საადგილ-მამულო კომისია, თითქმის აბათილებს ყველა დაწყობილ საქმეს და უმიზებოდ პფანტავს და ხარჯავს იმ ფულს, რომელიც მიღის ამ კომისიის შენახვაზედ. ეხლა, როდესაც ყოველი გროში ისე ფასობს ჩვენთვის, როცა ეკონომიკის ეროვნულ სიმღიდრის ხარჯვაში უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა და იდეალურად უნდა იყვეს შეწონილი ხარჯთაღრიცხვა ნაყოფიერებასთან, ჩვენ უგულებელ ვყოფისეთს მძიმე და სერიოზულ საკითხის გათვალისწინებას, როგორიც არის საკითხი ტერიტორიისა. ჩვენ უფლება არა გვაქვს ამ დიდ საკითხშიაც შევიტანოთ ჩვეულებრივი უინი კინკლაობისა და შენჩემიანობისა, უფლება არა გვაქვს ზერელი შევხდოთ ამ უაღრესი მნიშვნელობის მოვლენას და ადვილად მიევაგდოთ მისი ბედი ღვთის ანაბარად.

ამ მხრივ ბევრი უნიადაგო და ფუქსავატი სიტყვა გაისმა სათავადა-აზნაურო კრებაზედ და ნამეტ-ნავად გაგვაკვირვეს ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენლებმა. მაგ. ბატონ ვ. რუსილაძემ, ქ. ს.—ს. საზოგადოების მდივანმა, ყოველად უადგილო და დაუსაბუთებელი სიტყვა წარმოსთქვა იმის შესახებ, რომ საადგილ-მამულო კომისიის ფუნქციების შესტულება სხვათაც შეუძლიან, როგორც ს. ს. საზოგადოებას, ს.-ს. კრედიტს და სხ. გარდა იმისა, რომ ეს მოკლებულია ფაქტიურს სიმართლეს, ვინაიდან საადგილ-მამულო კომისიის

ფუნქციებს (როგორც მაგალ. მიწის ყიდვაში შეა-  
მავლობა, თანხათ დახმარება და სხ.) ვერავინ იყი-  
რებს, თვით წესდებათა შეუფერებლობის გამო, არამკუთუ მარტო მიზნის შეუფერებლობით, — ფაქ-  
ტიურ სიმართლის გარდა, მოკლებულია აზრსაც, რადგან ვერც ს. ს. კრედიტს, ვერც ს. ს. საზოგადო-  
ების თავისი პირდაპირი დანიშნულებაც ვერ შეუს-  
რულებიათ წესიერად.

ის ჩჩევა, მაგ., ბ. ვ. რცხილაძისა, რომ ყველა  
სამეურნეო თანხა გადაეცეს ქ. ს. ს. საზოგადოებას, სხვა რომ არა იყოს რა, მეტად გაბედული აღამია-  
ნის ლაპარაკა ჰგავს. ქ. ს. ს. საზოგადოება მეტად  
კარგ პირობებში დაიბადა, როცა მთელი ქართული  
საზოგადოება არამკუთუ პლატონიური სიმპატიით და  
თანაგრძნობით ეკიდებოდა მას, არამედ მზად იყო  
შეგნებულად ყოველმხრივი დახმარება აღმოეჩინა  
მისთვის. ეხლაც ეს საზოგადოება ყველა შეგნებული  
აღამიანის სიმპატიის იპყრობს, მაგრამ ჯერ იმდენად  
ნორჩია, იმდენად გაუმაგრებელი, რომ რიხიანად  
თქმა იმისა, რომ იგია პანაცეა ყველა ჩვენი უბე-  
დურებისაგან — ცოტა ნააღრევია. ჯერ არავინ იკ-  
ნობს იმ შედეგებს, რომელნიც მოჰყვებიან  
ამ სიმპატიურ საზოგადოების მოქმედებას და  
ეხლავე თავის გამოდება — ცოტა აჩქარებულად უნ-  
და ჩაითვალოს. ჯერ მარტო წრევანდეომა საზოგა-  
დო კრებამ ამ საზოგადოებისა დაამტკიცა, რამდე-  
ნად მოუმზადებელია იგი დიდი საქმისათვის და კერ-  
ძო პირების ხელში გადასვლა ჩვენი ერთად-ერთი  
სამეურნეო თანხისა — აზრსაც მოკლებული.

წარმოიდგინეთ წრეულ 12 კაცი იყო ასარჩე-  
ვი საბჭოში და მგონი სულ ათი კაცი ვიყავით სა-  
ზოგადო კრებაზედ. ესეც არ იყვეს, ამ საზოგადოე-  
ბის წევრობა ყველას შეუძლიან, ვინც სამ მანეთს  
შემოიტანს და, შესაძლებელია განა ასეთ საზოგადო-  
ებას, ვიდრე იგი უფრო მკვიდრ ნიადაგზედ არ და-  
დგება და მკვიდრ საქმეებს არ მოეკიდება, არ და-  
ანახვებს საზოგადოებას, — მიეცეს რაიმე დაკვეთილი  
თანხები?

კეშარიტი სიმართლე იყო, როცა კრებაზედ  
წარმოითქვა აზრი, რომ ს. ს. საზოგადოება ეხლან-  
დელ დროში უმთავრეს საშუალების უნდა ელო-  
დეს და იღებდეს თვით მთავრობისაგან, რომელიც  
უხვად აშველებს ხელს ამგვარ დაწესებულებათ, თუ  
უნარი გამოიჩინეს. ამის მაგალითები უკვე აქვს ქ.  
ს. ს. საზოგადოებას, რომლის მოქმედებას ყოველ-  
თვის დიდის ინტერესით ვადევნებთ თვალ-ყურს  
ჩვენც და მთელი საზოგადოებაც.

ბ. ვ. რცხილაძის სიტყვები იმის შესახებ, რომ  
ს.-მამულო კომისიაში სინეკურები არის — სწორედ  
ამაგრებენ ამ მდგომარეობას, ვინაიდან კომისიას  
ახალის წესით და ენერგიით სურდა შესწორება და  
ვ. რცხილაძეთა და სხვათა მეონებით — ყველაფერი  
ისევ ისე და უარეს მდგომარეობაშიაც დარჩა.

ჩვენ ვისრულებთ ამ წერილს სურვილით, რომ  
სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ და საადგილ-  
მამულო კომისიამ შეთანხმებით იმოქმედონ საერთო  
მიზნის მისაღწევად, თორებ დავა იმაზედ, რომ ჩვე-  
ნი საზოგადოება სჯობიაო, არც საქადრისია სერიო-  
ზულ მოღვაწეთათვის და საქმის ვითარებისაც მარ-  
ტო ბურუსში ახვევს.

ამასთანავე, ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ,  
რაც შეიძლება მალე დადგეს ღონეზედ ს.-მამულო  
კომისიას მოქმედება, რადგან გაუთავებელი იწერი-  
ლობა მის საქმეებსა და ორგანიზაციაში, სპობს ყო-  
ველგვარს უნარს მოქმედებისას და აგვიანებს მიზა-  
ნის მიღწევას: რაც შეიძლება მეტი და რაც შეი-  
ძლება მალე მოგვარდეს მიწის მოქმედება ჩვენში.

რ. ვ.

## ტყილისის გუბერნიის გლეხ- თა საზოგადოებათა სასოფლო- სამეურნეო თანხა

ეს მაღლიანი თანხა დაარსა ტყილისის გუბერ-  
ნატორიად ნამყოფმა თ. გ. დ. შერვაშიძემ. მას აქედ  
აგერ ოცდა ორი წელიწადი მიდის, თანხა იზრდება  
და გაჭირვებულ სოფელს მაღლა ჰყენს.

სასოფლო-სამეურნეო თანხის მოხმარება შეი-  
ძლება მარტო იმ საგნისათვის, რისათვისაც დაარსე-  
ბულია იგი, მაგალითად ტყისა და მამულის შესაძე-  
ნად და სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად.  
სოფელს უფლება აქვს გამოიტანოს ხაზინიდან თვი-  
სი საკუთარი თანხა უსარებელოდ, მოხმაროს და  
შემდეგ ნელ-ნელა შეავსოს ისევ. ჩვენებურს უდო-  
ნო და უფულო სოფელს მამულის ყიდვის დროს  
უებარ წამლად ევლინება ეს თანხა და როგორც  
ზემოდ ვიხილეთ, დიდს სიკეთეს უშვრება გლეხგა-  
ცობას. ეს თანხა რომ არ ჰქონდა სოფელს, ბევ-  
რი მამული სამუდამოდ დაეკარგებოდა ჩვენებურს  
მიწის მუშავს.

სამწუხარო აქ ერთი რამაა. თ. შერვაშიძის დროს სამეცნიერო თანხა სწრაფად იზრდებოდა, ხოლო მის შემდეგ ადგილობრივი აღმინისტრაცია პე-ჯითად ვერ აღეწებს თვალ-ყურს და საარაკო ზრდა თანხისა შეფერხდა. მაინც ამ ოცს წელიწადს ორ მილიონ მანათს გადააჭარბა და ამოდენა ფული გლეხ-კაცობის ხელში ხუმრობა საქმე ხომ არ არის. პირადად, კერძოდ ჩვენი გლეხი ლარიბია, უნიათო, მაგრამ საერთოდ დიდის დოკუმენტის პატრონია, სწორედ ისევე, როგორც ქართლ-კახეთის თავადა აზნაურობა.

სანეტარო და სასურველი მხოლოდ ისაა, რომ გონიერულად მოიხმაროს ეს უშველებელი დოკუმენტი ჩვენმა გლეხკაცობამ. გონიერი მუშაკი, ქვეყნის მოყვარული, გონება განათლებული კაცი გაურბის სოფელს და რა პქნას უმწეო სოფელში, როგორ გაუძლვეს დიდს თანხას, თუ გვერდში არ ეყოლება ნასწარი მეგობარი, სოფლის ჭირ-ეარამით დამწვარდადაგული? აი, ჩვენს აოხრებულს და გატიალუბულს სოფელს მაღვე რომ აღირსონ ერობა, მაშინ სულ სხვა იქნება. იგი, სხვათა შორის, მამობრივის მზრუნველობით ყურადღებას მიაჰყობს ამ თანხასაც და ერთი ათად მეტს მადლს გამოაღებინებს, ვიდრე დღეს იღებს.

1912 წელს პირველ იანვარს ჯავახეთს (ახალ ქალაქის მაზრა) პკონდა ფულად 204.183 მან.; სარგებლიან ქალალდებით 323.200 გ., ნასესხი ამ თანხიდან 14.067 მან. 79 კაბ. ეს თანხა საკუთრებაა 110 სოფლისა, სადაც ითვლება 6134 მოხარჯე, ესე იგი ამ თანხის მონაწილე. სასოფლო თანხის სიღიდით ჯავახეთს პირველი ადგილი უჭირავს საქართველოს სხვა კუთხეთა შორის.

მესხეთს (ახალციხის მაზრა) აქვს: ნალდ ფულად 24.570 გ., სარგებლიან ქალალდებად 103.611 გ. 72 კაბ., ნასესხები ამ თანხიდან 5.166 გ. 50. კ. მონაწილე თანხისა 190 სოფელი და 20.649 მოხარჯე.

ქართლსა აქვს: ა) გორის მაზრა: ფულად 205. 856 მან. 51 კაბ., სარგებლიან ქალალდებით 83. 700 გ., გორის მაზრებებს უსესხნიათ ამ თანხიდან 35.855 მან. 82 კ. მონაწილე თანხისა 295 სოფელი და 37.794 მოხარჯე; ბ) დუშეთის მაზრა: ნალდ ფულად 100.165 გ. 24 კაბ., სარგებლიან ქალალდებით 200 გ., უსესხნიათ 15.772 მან. 57 კ. მონაწილე თანხისა 267 სოფელი და 6871 მოხარჯე; გ) ტფილისის მაზრა: ნალდ ფულად 50.432 მან. 54 კ., სარგებლიან ქალალდებით 50.000 გ.

და ხორბალი 2897 $\frac{1}{2}$  გ. უსესხნიათ 95.879 მან. 90 კაბ. მონაწილე თანხისა 118 სოფელი და 20.766 მოხარჯე-კახეთს: ა) ქიზიუ—სიღნაღის/მაზრა: ფულად 80.757 გ. 79 კაბ., სარგებლიან ქორმლდებით 219.000 გ., ხორბალი 4771<sup>—</sup> ფული და 10 გირვანქა. ნასესხია—52.328 მან 13 კ. მონაწილე თანხისა 54 სოფელი და 33.963 მოხარჯე; ბ) თელავის მაზრა: ნალდ ფულად 38.158 გ. 95 კაბ., სარგებლიან ქალალდებით 47.700 გ. სესხი 48.573 მან. 31 კ. მონაწილე თანხისა 52 სოფელი და 20831 მოხარჯე; გ) თიანეთი: ნალდ ფულად 19. 609 მან., სარგებლიან ქალალდებით 33.200 მან. ნასესხი 8530 მან. 85 კაბ. მონაწილე თანხისა 106 სოფელი და 5302 მოხარჯე.

ბორჩალოს აქვს: ნალდ ფულად 255.242 მან. 69 კაბ. სარგებლიან ქალალდებით 138.600 გ. უსესხნიათ ამ ფულიდან 64.763 მან. 08 კ. მონაწილე თანხისა 268 სოფელი და 14.960 მოხარჯე.

სულ ტფილისის გუბერნიის გლეხ-კაცობას ჰქონდა 1912 წლის პირველ იანვარს ნალდ ფულად 968.976 გ. 18 კაბ. და სარგებლიან ქალალდებით 999.211 გ. 72 კაბ., ხორბალი 7668 $\frac{1}{4}$ , ფული; სესხად აღებულია 340.937 გ. 95 კაბ. ფულად და ხორბალი 1,243 ფული; მაშასადამე ნალდ ფულად და სარგებლიან ქალალდებით ორი მილიონი სამას ცხრამეტი ათასი ას თოხმოცდა თხუთმეტი მან. და 85 კ. (2.319.195 გ. 85 კ.) და ხორბლად 8911 ფული. მარტო სარგებელი ორ მილიონ მანათისა 4% კვალობაზე წელიწადში დაიჭერს რვა ათას თუმანს (80.000 გ.). ეს თანხა ეკუთვნის 1454 სოფელს, სადაც ითვლება ამ თანხის შემადგენელი 197.272 სული.

აქ მოყვანილი ცხრილი თანხის რაოდენობისა სხვა და სხვა მაზრებში ნათლად გვაჩვენებს, რომ პირველი ადგილი უჭირავს ჯავახეთს, სადაც თითქმის სამი მესამედი მკვიდრ სა სომხობაა. მეორე ადგილი ეკუთვნის ბორჩალოს; ქართველობა ამ მაზრაში (საბარათიანო, სომხითი და თრიალეთი) ძალიან ცოტაა. უმთავრესად ბინადრობენ თაორები და სომხები. სჩინს, არ ეხერხება ქართველს მომვირნეობა. თათარი და სომები უფრო შემნახველი და დამზოგველი გამოდის, ვიდრე ქართველი. ამ მხრივ ქართლელსა და კახელს წინ გაუსწრო ქიზიუელმა. სიღნაღის მაზრის თანხა რაოდენობით მხოლოდ ჯავახეთის და ბორჩალოსას ჩამოუვარდება. იმავე ტემპით რომ ეგროვებინა თანხა გორის მაზრას, რა ტემპითაც ჯავახეთი მუშაობდა, დღეს მილიონზე

შეტი ფული ექნებოდა და აბა გაშინ მის ბედს ძალიც ვერ დაპყევდა.

მთელს იმპერიაში ჩეენი გუბერნიისთანა თანხა არც ერთს გუბერნიის არა აქვს.

### ა. ყიფშიძე



## შოთა რუსთაველი

„შენ ნიშნად უკვდავებისა  
ერს მოვლენიხარ განგებით,  
ვით ცისარტყელა წარლვისა,  
უცნაურისა ჰანგებით“...

— ნეტა რომელმა ქართველმა არ იცის თუ ვინ არის დიდებული შოთა! ვინ არ იცნობს მის უკვდავ „ვეფხვის ტყიოსანს“! მისი დიდებული სენტენციები დღეს ანდაზებადაა მოფენილი ჩეენს ხალხში. მიყრუებულ სოფლებში ზეპირად გეტყვიან ამ პოემის საუკეთესო ადგილებს ისეთი პირები, რომელთაც, ხშირად წერა-კითხვაც კი არ იციან. ამ რიგად ეს ქართველი გენის ნაწარმოები ჩასწრული გრინგორის გულის სილრმეს და გადაჭცეულა ზეპირ თქმულებად.

— მსოფლიო ისტორიაში ჩეენ ვიცით მხოლოდ სამი მაგალითი; მხოლოდ სამი გენის მწერლის უზენაესი ნაწარმოები ჩასწრული ერს გულის სილრმეში. ასეთია — პომიროსის „ილიადა“, ფირდუსის „შაჰ-ნამე“ და შოთას „ვეფხვის ტყაოსანი“.

აი სამი დიადი პოემა! აი უკამაყასესი ბრილიანტი ზენაარ პოეზიისა! აი სამი უდიადესი მგოსანი, როგორიც წარმოშვა სამმა ეროვნებამ თავის სულის უზენაეს ილფრთოვანების დროს! სამივე მგოსანი ეკუთვნის მთელ კაცობრიობას და მათი პოემები უკვე თარგმნილია ევროპულ და აზიურ ენებზე.

ბევრი შავი დღე განვლო ქართველმა ერმა თავის ტრალიზმით სავსე ისტორიაში. ბევრი საშინელი ტანჯვა განიცადა თავის ხუთი ათასის წლის არსებობაში. ათასი წლობით ის მიკრულია კავკასიონის ქედზე, ვით ამირან გმირი, და ახვევია მას საფულეთად ყვავ-ყორნები... საუკუნეთა სრბოლაში მის ფოლად გულზე ეხეთქებოდა აზიის ბარბაროსათა მძლავრი ტალღები, მაგრამ ეს პატარა ერი, ქართველი, იყო მარადის მყარი და ურყევი, ვით პიტალო კლდე ზღვაში ჩამდგარი... საქართველოს მეზობლიდ, ქართველი ერის თვალ წინ დაიშნვრნენ

და გაჟერნენ მთელი უზარმაზარი იმპერიები და სამეფონი, დაემხო დიდი ეგვიპტე, ასურ-ბაბილონი, ფინიკია, კართაგენი, ელადა, პალესტინა, დიდი რომი, არაბთა იმპერია, ბრწყინვალე: იმრმატებია და მონგოლთა ძლიერი ურდო,— ეს მსხვერპლი ისტორიული გრიგოლისა; საქართველო კი ისევ ცოცხალია, ვით ობოლი ვაზი და ელის ბრწყინვალე მომავალს.

ამ პატარა ერს თავის წარსულში ჰქონდა მზიანი დღეებიც. არაბთა ბატონობის შემდეგ, მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს მან მოახერხა სრული გაერთიანება, რასაც მოპყვა ერის ეკონომიკურ-პოლიტიკური და კულტურულ-სოციალური აღორძინება. დიდმა დავითმა, რკინის პალოთი საზღვარზე მდგარმა, გასჭედა ერის დიდება; მშვენიერმა თამარმა კი თავის სიბრძნით იგი უმაღლეს წერტილზე აიყვანა. მეთორმეტე საუკუნეში მთელი დასავლეთი აზია დაემორჩილა საქართველოს გეგემონიას. დიდი სპარსეთი, მცირე იხილს სულთნები და განათლებული ბიზანტია ქედს იხრიდნენ ქართველი ერის წინაშე.

ილფრთოვანდა თავისუფალი ერი, გაშალა ფრთა და გაინავარდა ერის სულმა პოეზიის სფეროში. აყვავდა ქართული ენა, ხელოვნება, პოეზია და ფილოსოფია. და აი ამ მძლავრ სულიერ აფოფინების დროს ერის გენიაშ წარმოშვა დიდებული გენიოსი,— ეს იყო სულმნათი შოთა. იგი გვირგვინია ქართული პოეზიის, ის უუძვირფასესი მარგალიტია ერის სულის უზენაეს ილფრთოვანების ციალის დროს შექმნილი.

ჩაესვენა მეცამეტე საუკუნის დამდეგს საქართველოს თავისუფლების და დიდების მხედარების ტანჯვისა და სიბრძლის გრძელი საუკუნე. გაჩნდნენ საშუალო აზიაში ახალი ბარბაროსი, რომელთაც დაამსხვრიეს საქართველოს სამეფოს ერთობა. ჯელალედინი, ლანგოზემური, შაჰ-აბაზი, აღამაშიად-ხანი, აი ის ულმობელი მტარვალი, რომელთაც მიიყვანეს საქართველო მეთვრამეტე საუკუნის დამლევს საშინელ მარცხამდე!

კვნესდა ქართველი ერი ექვსი საუკუნის განშავლობაში და ამ ექვს საკუნამისნევებელი იყო ორი რამ: წმინდა ნინოს ჯვარი და შოთას „ვეფხვის ტყაოსანი“, პირველი — სიმბოლო სარწმუნოებისა, მეორე კი სიმბოლო ეროვნებისა: და თუ მოხდა სასწაული, თუ საქართველომ ამ საშინელ პირობებში შეინარჩუნა ქრისტეს რჯული და ეროვნული სული, ამის უმთავრესი მიზეზია ორი დიდებული ადამიანი: წმინდა ნინო და შოთა რუსთა-

ვალი... ქართველი ერი ქალიან-კაციანად ეწაფოდა სასოწარკვეთილების დროს შოთას უკვდავ პოემას და პკრეფდა მასში სულის ძლიერების მუფარახს. ეს წიგნი შეიქმნა ქართველისთვის ნამდვილ თილისმად, რომელიც აქარწყლებდა გარეშე ძალებს, ასწავლიდა ერს ზღაპრულ გმირობას და ნამდვილ სასწარულებს. ამ დაქსაქსვის, ამ ეროვნულ უბედურობის დროს, ქართლელი და ქახელი, იმერი და მეგრელი, სვანი და იოხაძი, თუში და ინგილო, მესხი და გურული ერთობისად გრძნობდნენ, რომ ყველა ისინი ეკუთვნიან ერთ თჯახს, ოდესლაც ძლიერს, დღეს კი დიცემულს. მათ აერთებდათ ენა, სარწმუნოება და „ვეფხვის ტყაოსანი“. ამ დიდებულ პოემას შეძლებული თავაღ-აზნაურნი და ლარიბი გლეხნიც შზითვადაც კი ატანდნენ თავიანთ ქალებს. მას იზეპი-რებდა დიდი და პატარა. სახარებასთან ერთად ეს იყო განუშორებელი წიგნი ძველი ქართველისა-თვის. ასეთი იყო ამ დიადი პოემის მომხიბლავი ძალა.

— აპა, შვიდასი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც პირველად აქლერდა შოთას უკვდავი ქნარი, რაც პირველად იაქვითინა მან სიმები თავის ბედშავ გმირ ტარიელზე.

რით უნდა ვიდლესწაულოთ ეს დიდებული დღე, რით უნდა აღვნიშნოთ იგი?

1) უნდა მოეწყოს საქართველოს დაბაუქალა-ქებში სალიტერატურო დილა-ხალამოები შოთას სახელისა, რისთვისაც უნდა აღინიშნოს შესაფერი დღე.

2) უნდა გაიმართოს ყველგან ლექციები და შემოსულ ფულიდან უნდა შესდგეს რუსთაველის ფონდი.

3) უნდა დაუდგათ დიდ მგოსანს დიდებული ძეგლი, ერთი თბილისში, მეორე ქუთაისში, და მესამე მესხეთში, სოფელ რუსთავში, საღაც დაიბადა შოთა.

4) ყოველივე ამის განსახორციელებლად უნდა დაარსდეს სამი კომიტეტი, ერთი თბილისში, მეორე ქუთაისში და მესამე მესხეთში, აგრეთვე მათი განყოფილებანი სხვა და სხვა დაბა-ქალაქებში.


5) საქიროა ამ ეროვნულ საქმეში შეურვალე მონაწილეობა მიიღონ ყველა ჩვენმა კულტურულმა დაწესებულებამ და სრულიად ქართველმა ერმა.

6) საუკეთესო ლექციები, სიტყვები და ლექ-სები შოთას შესახებ უნდა მოთავსდეს ერთ დიდ წიგნში, რომლის შემოსავალი უნდა გადაეცეს შოთა რუსთაველის ფონდს.

7) საქიროა გამოიცეს მხატვრული ალბომი, რომელშიაც დასურათებული უნდა იყოს თქმის საუკუნე, იმ დროის ისტორიული პირები, ხელოვ-ნების ნაშთები და სხ. ამ ალბომშიც შემოსავალიც გადაეცემა შოთას ფონდს.

ამ მცირე წერილით მოუწოდებ სრულიად ქა-რთველ ერს. დრო არის, ბატონებო, შესაფერიად დავაფასოთ ის ლვთაებრივი ქართველი, რომელმაც მოგვცა უკვდავი „ვეფხვის ტყაოსანი“! დრო არის შესაფერი ძეგლი ივუგოთ იმ დიდებულ სულმნათს, რომლის გენის წინაშე ქედს იხრის განათლებული კაცობრიობა!

სიმონ ქვარიანი.



## ტრადიკული ბედი

სომხის ერთ გამომცემელ საზოგადო-ების წარმომადგენლებმა ამ დიდებში დაათვალიერეს ი. ჭავჭავაძის სახლი ანდრეევის ქუჩაზედ, ძალიან მოეწო-ნათ და მისი ყიდვა დააპირეს.

უკანასკნელი ამბავი

მე მინახავს ვარშავაში მიცკევიჩის ძეგლი. უბ-რალოა, მაგრამ მორთული საუცხოვოდ ძვირფასი და ნაზი ყვავილებით, მშვენიერ სანახავს წარმოადგენს.

და ოქვენა გრძნობთ, რომ ამ უბრალო მშვე-ნიერებაში დაფარულია პოლონელების ლრმა სიყვა-რული თავის დიდებულ მგოსნისადმი.

ვნახე მისი სახლიც, სადაც მგოსანი სცხოვრობ-და, სწერდა და დიდების გვირგვინს უწნავდა პო-ლონეთის ერს. ვნახე და გავოცდი.

რა სიყვარულით, ზრუნვით და ყურადღებითაა მოვლილი მგოსნის ყოფილი ბუდე.

მოსიყვარულე ხელი ამაყი და თავშოუვარე პო-ლონელისა ყველგან ეტყობოდა.

დაწყობილი კრიალა შესავლიდამ, შესანიშ-ნავ სისუფთავით შენახულ ოთახებიდან, მგოსნის პა-ტია უმნიშვნელო ნივთამდის ბუხრის თავზედ.

აქაც გამოსჭვივოდა შეგნებული უზომო მაღ-ლობა პოლონელებისა თავის დიდებულ კაცისადმი.

ვნახე საგურამოს ველზედ ის ადგილი, სადაც ტანჯული სული დალია ვერაგულიად მოკლულმა დიდებულმა ქართველმა მგოსანმა ი. ჭავჭავაძემ.

შევი, დამპალი ხის ჯვარი...

გარშემო მიყრილ-მოყრილი ქვები...  
დამკუნარი, გაყვითლებული ბალახი...  
ვნახე მგოსნის სახლიც.

კედელზედ, პატია მარმარილოს ფიცარზედ წარ-  
წერაა: „აქ სცხოვრობდა ილია ჭავჭავაძე.“

შევეღი შიგნით...

დაცარიელებული ოთახები გაუღენთილი იყო  
ნესტის სუნით.

არსად არც ერთი ნიშანი, რომ აქ ოდესადაც  
საქართველოსთვის ძვირფასი კაცი სცხოვრობდა,  
მასზედ ფიქრობდა, იტანჯებოდა...

„სახლი გასაცემადა მომზადებული“, მითხრა მე-  
ეზოვემ.

— „იქნება გასაყიდათ. დავეკითხე მე. „არა, ჯერ  
გასაცემად“ — მიპასუხა მეეზოვემ.

—

დღეს გასაყიდათაა მომზადებული!..

და მყიდველებიც გამოჩნდნენ.

ეს, „ქვათა ლალადის“ გმირები არიან; ამ უკა-  
ნასკნელთ მეტად უყვართ შენობები ქართული წარ-  
წერებით.

მეტადრე როცა ისე ადვილია ქართული ასოე-  
ბის გადაკეთება სომხურზედ.

მაგალითად,

„აქ სცხოვრობდა ილია ჭავჭავაძეს“ მაგივრად  
წარწერენ:

„აქ სცხოვრობდა პორიზონის რედაქტორი“.

ისე, როგორც ადვილი იყო ავაზაკებისთვის  
დიდებულ ქართველ მგოსნის მოკვლა; ისე, რო-  
გორც ადვილი იყო ჩენოვის ძვირფას კაცისთვის  
დამპალ ჯვარის აგება; ისე, როგორც ადვილია ჩენ-  
ოვის მგოსნის მიერ დაობლებულ და ერისთვის და-  
ტოვებულ განძის გაყიდვა საქართველოს დედა ქა-  
ლაქში.

მათთვის ადვილია, რადგან ჩენოვისაც გაყიდვა  
ყველაფრისა ზეტად ადვილია... რაზედღა ილაღ-  
დებენ ქვები ქართველი მგოსნის სახლისა?

რაზედღა ილაღადებს ეხლა ის მარმარილოს ქვა,  
რომელზედაც ამოჭრილია დიდ მნიშვნელოვანი სი-  
ტყვები:

„აქ სცხოვრობდა ილია ჭავჭავაძე“...

ეხლა ილაღადებს იმ ტრალიკულ ბედზედ, რო-  
მელიც ეწვია ქართველი მგოსნის სახელსა.

ეხლა ილაღადებს მარტო ჩენ დიდ დანაშაულ-  
ზედ დიდებულ მამულიშვილის ხსოვნის და ქართ-  
ულ ეროვნულ იდეალების და გრძნობების წინაშე.

ეკალი.

## ორი მანდილოსანი

(მოთხრობა პანრი დე-ბორისტესტელი  
პირადობისათვის)

— მითხარი, ღუსიენ, რთგორა სცხოვრობთ? ჰეით-  
ხა პატარა უერშენმა, თავის ბისშეიდს, ახალგაზრდა ჩი-  
ქიერს ხელოვანს, — მე მსურს დაწვრილებით ვიცოდე შენი  
ცხადებული.

— თქვენზედა ვფიქრობ, ჩემთ უერშენ! თქვენს სი-  
ასახურზედ, თქვენს მშვენიერ მთხდენიდს მონარხი  
ტანზედ, თქვენს მშვენიერს, იქნოს ფერ თბაზედ და  
იმდენადგვე სასიამოვნო, მოკლეარე თვალებზედ, ჩემთ  
ტურფავ!

— საქმე ჩემს თვალებსა, ტანსა და თბაში არ არის.  
თქვენ მეტს პატეზიას ხარჯავთ, ბატონო ღუსიენ, ხელოვ-  
ნერად არტისტობთ... უკეთესია გამომიტებელ გისადიღ-  
ნია თუ არა?

— გისადიღე, მაგრამ ფიქრით კი შენთან ვიქავი,  
ჩემთ უერშენ! არა გამეგებოდა რა, რასა ვკაშდი. და ან  
კი რა სადიღისა მცხედოდა!

— სცდებით, ჩემთ მეგობარო! ძალიან ცოტას ზრუ-  
ნავთ თქვენთვის. საბედნიაროდ, მე ამის შემდეგ თქვენ-  
თან ვიქნები, და როგორც კი დავჭრილდებით...

— რა დღის შემდეგ მარტო, გაწვეტინა ახალგა-  
ზრდა კაცმა — რა გვიანა!

— თქვენი პუჭისთვის!

სიცილით შენიშნა უერშენმა.

ღუსიენ გარნიე ჭერ ისევ პატარა იყო, როდესაც  
რომეში გაგზავნეს ფრანგების სასწავლებელში. ღუსიენი  
რომიდგან დაბრუნდა აღზრდიდი, განვითარებული და თა-  
ვის ნათესავ ქალბატონის დელფინაციან დაბისავდა.

ღელვილმა გააცნო თავისი ერთად-ერთი ქადა უერ-  
შენ, რომელმაც ამ მობლე სანში დასრულდა სწავლა მო-  
ნასტერში.

უერშენის სიღამაზემ მაშინათვე დაიმოჩავა ღუსიენი.  
ღუსიენის იგი შეუეცარდა. ეს სიუფარული, სიუფარული იყო  
არტისტისა, კეთილ-მობილური და თავისუფალი ჰყავა  
იმისაგან, რაც სიუფარულის ხაძღვილს დარსებას უკარგავს,  
მაგრამ იქმდის სუსტი, რომ მას არ შეგძლო სამუდა-  
ბედნიერუბის მინიჭება. ღუსიენი საკმაოდ ვერ ავასებდა  
თავის საუფარელ არსების სულიერ დირსებას.

დაინიშნენ უერშებულნი.

ქალბატონი ღელვილი სისარულით დასრულდა გა-  
მთხენიდი არტისტის სიმებას, მაგრამ საქმის გადაწვე-  
ტა თავის ქადა მიანდო.

როდესაც ღუსიენი მიყიდა უერშენთან და თავისი

სურვილი განუცხდა, პასუხად შემდეგი მიაღთ: „ვიუიქ-რებო“.

დახ, უნდა ეფიქტის უკრძალოს. იგი მიხვდა, რომ დუსიერმა მხოლოდ მისი გრუგნული სიღამაზე შეიფარა და მისი სხვა თვისებების-კი გერ დათვას, უკრძალა ეს შეურაცხოფად მიიღო.

ნუთუ როდისმე, დუსიერი სხვასც შეიფარებს მარტო მის სიღამაზისთვის... ის ისე კუჭნურად დაქმონება და დაუფიქრებდად მიეცებს პირველს გულის თქმის. არ შეისწავლის მის სისიას, მის გრძნობებს, მის ჭეკა-კონებს, როგორც ამ ფასად, მაშინ რომელიმე უკუდო და სულულის დედავარის მონაცილი შექმნება და ხომ დაიდება.

უარის თქმა სიკლიდი იქმნება იმისთვის. შერე მოუკდა ის, გინც მიუფარის... არ ფიცა, რომ არ მიუვარდეს, როგორ მოვიქტებოდი; მაგრამ მიუკრის მართალია, დუსიერმა შეურაცხებულ:

ჩემი დირსება კი არ უკვარს მას, მხოლოდ ჩემი სიღამაზე მოსწონს, მაგრამ რა უკა! ის შემდებ დამატებას და შესიუკარებს; შემდებულია, ასე არ მოხდეს! მოედნი სიცოცხლეს მას შევწარავ! რაც იქნება იქნება! დეკ, დამტანჯოს მისმა ბუჩქირიგმა მოუსვენრთხამ, დეკ, დამტანჯოს მისმა სულ ახალ-ახალის გარებნულ სიღამაზისადმი ხელოვნებამ, დეკ! მე მსურს იშისი დახსნას და კადეპარ დაფიხსნი! ა, საუკარებო! შენი გარ, შენი! არ დაიდუქები!

## II

გადასწევიტეს ჭარი სოფელში დაეწერათ და არა შარიზში, სადაც იმდენი ციონის მოუკარება მუდაშ; მორს სადება, ამ ჩვენის დროის ბაბილონიზედ მომრთებით, სადაც მუდაშ ასე ბევრია უსტმით, დამციხებული ხალხი.

ბურგენდის ერთი სოფელში ქადაგის დედებილი მოხურებული ბიძა ჰქავდა მდვდვად. და აა, ესენიც იქით გაეძგზავნენ. ახდად ჭარ დაწერილო ბიძაშ დაუთმო თავისი ბაზა სახლი, რომელსაც წინ ჰქონდა ბაზაში მუდანოთ მოუქენილი ეზო.

ისინა მთელს ოვეს დარჩნები აქა და პირველის სიფარულით სტებებოდნენ. საგებით მიუცენ პირველს სიუკურედს და თავის აზრებს ჭარმონიულად აკაგშირებდნენ საზის გეღის თქმასთან, აკაგშირებდნენ ბუნებასთან, უნათესავებდნენ მას ფრინველთა გაფობას და ნედი ნიავის შრიდს.

მთელმა თვემ გაიარა ქორწინების შემდეგ. ახდა ისინი პარიზში უნდა დაბრუნებულიყვნენ, სადაც მუდაშ გამწვავებული ბრძოლაა ცხოვრებისათვის, სადაც მცხოვ-

რებია მუდაშ ტანკების და ცხენების ქვეშ იმუთოვებიან, — დაბრუნებულიყვნენ თავიანთს სახელოსნოში და შრომას შესდგომოდნენ. მაკამ ისე მოაწევს თავისი საქმე, ისე გარგად და ტებილად სცხოვრუდნენ კატეგორია კაკი მოხერხდებოდა შეუგარებელთა შესრულებული მისამართი.

ამ ახდად ჭარ-დაწერილებს შრომისა და სიუკარულის განაწილებაში ცხოვრებაში ჭეშმარიტი სისარული მიანაგა. მაშინ როდესაც დუსიერი გულდადებით მუშაობდა შერმენი იჯდა მის გვარდით, უკრადღებით და სიუკარულით და დეკუნებდა ხოდმე თვალს, როგორის სედოვნებით სატავი ტილოზედ იმისი ქმარი.

ადრიაცებული თავისი ცოდის სიმშევნივრით, დუსიერი ხშირად თავს ანებებდა სამუშაოს და სტკბებოდა მისი სიღამაზით. ამ დროს უკრძალის შეგენივრი არსება დუსიერის თითქოს საფას ჭმატებდა, ზემთავარების მადლის ჭყენდა.

ოჟ, რა გარგი არის თუ სასატრედ არსებათა ერთად ცხოვრება, რა საუცხოვო რამ არის განმარტებით უთიში, ცხოვრების შფოთვისაგან განუენება და ამ მარტოთაში ფიქრი; ა, როგორ სცდების უკუდა სიკანი, დიხ, გარგია ეს მარტოთა, მაგრამ იგი ხანგრძლივი არახოდებს არა რის ხოდმე. მაღა, ძაღიან მაღა ეს ბეჭისერნია ისებ ცხოვრების ტალღებში შეკრევის ხოდმე.

## III

დუსიერმა ჩქარა სახული მოიხვეჭა. იმის სურათები სწრაფად ისეიდებოდა და მეოდებულები უფრო მეტის უკადღებით ეპერობოდნენ მის.

ერთხელ ახალგაზრდა მხატვრის სახელოსნოში გარშაჩერი თავადიშვილი ფონ—შ... და გრაფიანი გადეგა ხედის გაურილნი მუვიდნენ.

ამ ქალის დანახვაზედ უკრძალი როგორდაც გაფიორდა და ერთანტელმა დაუაბისა ტანში.

— ბ. გარნე! მიშართა თავადიშვილმა დუსიერის მეგნარე თქმებუნ დასატელი სურათი გრაფიანია გალიგასთან, რომელმაც ისება და მამიუებას თქვენთან.

ამ სიტუაციტედ გრაფიანიამ დამიღიათ დაუკრა თავი.

— მე განა—უგბნებოდა თავადიშვილი, თქმენი სურათი და მოვისურვე მეტ შევიძინო ერთ-ერთი თქმებუნ შესრულებული სურათი. ხახატა, რომელსაც მე შევიძენ, ჭერ უნდა იუვეს გამოივენაზედ ბაგზაფნილი. მე გერმანელი ყარ, და ამიტომ სურათი უნდა გერმანულს გემოვებაზედ იყოს დასატელი.

”ესთილისა და ბორეტების განია“ აა, უგელაზედ შესტერი შინაარსი სურათისათვის. ფასზედ ნე ვიღა-პარაბეტო, ჩემი მოურავი მოგარომებოთ, რამდენისც კი უბრძანებოთ.

დუსიენმა თავი დაუკრა. მაშასადამე ბ. დუსიენ, ერთის წლის შემდეგ სურათი მზად იქნება.

— დიახ, უთუოდ.

თავადიშვილმა ჩელი გაუწოდა ახალგაზრდა მხატვარს და უნდა გამოსულიყო, როდესაც გრაფინიაშ დუსიენს შემდეგის კითხვით მიშართა:

— ბ. მხატვარო! როგორ ფიქრობთ, დამაზა ვარ თუ არა? ამ მოუღოდნელის კითხვით შემკრთალშ. და გაგვირევებულმა დუსიენმა რადაცა წააღუდღება. დუსიენის მიერ წარმოთქმულს სიტუკებში მხოლოდ სიტუკა „დვორული გაისმა ხათლად.— კარგი, მაშ მითხართ. როგორც გატაცი მცნობო დვორაურივად, თუ როგორც მხატვარი?

— როგორც გაშეკრიც და როგორც მხატვარიც.

— უკრო კი როგორც მხატვარი არა?

დიახ, როგორც მხატვარი.

— კეთილი, უპასუხა სიხარულით გრაფინიამ, მაშ გოხოვთ დახატოთ ჩემი სურათი; ჩემის ფიქრით, როდესაც თითოს ჩედოვანი სოფლის თავის თრიგინილი მამა ზიდველად, უთუოდ გარგალაც დახატავს.

თუ გნებავთ ხვადიდებს დავიწერთ, მასმანდით  
ru. St florentin, 10.

#### IV

შეორე დექს დუსიენმა, შერმენს უთხრა, რომ გრაფინიასთან მიღის

— კარგი, ჩემთ შეგთბარო. ჩქარა დაიწევ, რომ  
მაღე გაათავო.

ამას შერმენმა ადარც ერთი სიტუკა, არც კრით რჩევა, არც ერთი შეხიშვნა არ დაუმატა. მხოლოდ ისე საამურად გაუდიმა, თითქოს სურდა ეს ღიმილი უხილავ ჯაჭვად შემოერტყა გარს დუსიენისათვის.

გრაფინიამ დუსიენი შიაღვთ მდიდრულად სხვადასხვა თვალთმაქცეულ ავეჯით მორთულს ბედუარმა.

გრაფინია გადიგას მედამ გარს ეხვივნენ ახალგაზრდა პოეტები, არტისტები, პოლიტიკოსები, დიპლომატები, და საზოგადოთ თვალსაჩინო ემაწვილ კაცება, რომლებთანაც მედამ მეგობრული სფა-ბასირ ქვეთა ხოლმე. ამ დაპარაკში სიტუკა „თქვენის“ ადგილი ეჭირა შეგობრულს „შენს“. დუსიენი ცოტა არ იყოს გაანცვითოა ასეთმა თავისუფალ სიტუკის ხმარებამ, მაგრამ შემდეგში შეიტევ, რომ გრაფინია იტალიელი იყო, და უფრო მეტად მოსწონდა სიტუკა „შენ“, ვიდრე „თქვენ“, რომელსაც ფრანგული ენის სენადა სთვლიდა.

დუსიენი მიხედა რომ გრაფინია იმ დედაქაცია ჭიშვის მეუღლის, რომელთა ცხოვრებაშიაც არ არსებობს არა-

ვითარი პატიოსნების დამამცირებელი უწესება და ეს უწესების ჩვეულებადა აქვს გადაქცევდა. მაგრამ ემაწვილ კაცობა რომ არ შემოეფანტოს, ის ხმარების სიმკლუცეს და სხვა ამ გვარ საშეალებას, და სრულდად წარმოაქმნის იმაზედ; რომ ასეთს ქცევას საზოგადოება ეჭიდა უუკრებს, მათ უფრო, რომ იგი ქვრავია. გრაფინია თავის სიცოცხლეს ცხენისას, სეირნთბა — მოგზაურობას სადიღებს, წარმოდგენებსა და კონცერტებს ანდომებდა.

ამ ცხოვრების ქარიშხალმა გაიტაცა ჩვენი მხატვარი და რამდენიმე თვის განმავლობაში თავის სახელოსნისათვის არც კი მიუხედნია. სახლში ბრუნდებოდა დაქანცელი, ფერ-მახვილი და უველა ამის სასახლელად ცრულდა შერმენთან. შერმენი მუდაშ დაწესარებული უგდებდა უკრს ქრძის ჩივილს; ამ დროს მას მშობლიური ღიმილი უკრთხდა სოლები; თუმცა გუდს რაღაც უქენჭნიდა, მაგრამ უველა ამის დროს, ის მასც სისალულით ეკადებოდა დუსიენს.

ის მტკაცებ იულ დაწესარებული, რომ დადგებოდა ის დროც; როდესაც დუსიენი დაუბრუნდებოდა თავის თვალს. ეს დღეც დადგა. როგორდაც მოხდა და გრაფინიას გეთაღ-გრძიერება დაუბრუნდა.

— ური მიგდე, ჩემთ საუკარელო, უთხრა დუსიენს: მოშეზრდა ეს უვერებული სიცოცხლე: ესლა მე ერთი მშენებერი აზრი მომიჯიდა — მე შერს რაიმე ხელობა გისწავლო... მხატვარის მაგალითად, მე ხომ სხვაში არა ფერში ვარ გამოსაღება: მე ვაცი მხოლოდ სიცილი, სიმღერა, ქეიფი და ბევრი ამ გვარი დროს გატარება და უველა ეს ხომ უნაუთოთ. არ გინდა ჩემი მასწავლებელი იყო? საუცხოვო აზრია! დიახ, ჩემთ მხატვარი, შენ მასწავლი მე. წაკიდეთ შენს სახელოსნოში?

კარგი, უპასუხა მხატვარმა, რადაცა ნადვლიანის გამომეტებელობით.

#### V

სახელოსნო უდანიოდ გარდაქმნილიყო. მანც დიდი ცდლილება არ ეტეობოდა: ბრუსტები, ქანდაკებანი, ესკიზები, ღერბები, უველა თავის დღილას იულ ისევ.

დარბაზს დიდი შწანე ფარდა ჰეთედა.

ერთი სახევარი დარბაზისა სახელოსნო იულ და მეორე სასტუმრო.

ამ ამ თახში შევიდნენ დუსიენი და გრაფინია.

— ძლიერები!.. ამ, ჩემთ შეგთბარო, ის ადგილი, სადაც შირველად მე შენ გრახე, უთხრა გრაფინიამ, ვინ მეტეოდა მაშინ...

— ა! ა უცხაური ხარ, გრაფინია!

— შენ რადად ხარ აგრე დაღვრებილი, ჩემთ სიცოცხლევი? რა დაგემართა დღეს?

— არავერი.

— სტეფანი! რადაც ამბავია... დაჭეშ ჩემს ახლოს  
და უნი ნაღველი გამიზიარე.

— გარწმუნებ, არ ვნაღვლობ.

გრაფინია ჩაფიქრდა.

— გაბერიალის შესახურიას იტევი, ჰქოთხა მხატვარის.

— ეხლავე, ჩემთ ძვიროვასთ მასწავლებელთ! ჯერ  
მითხარი, ვინ იყო ის ქარა ქალი, რომელიც მარშან აქ  
გნახე: ის მკონი საკმარისად დამაზია?

— ჩემი ცოლია, ქალბატონი!

— შენ ცოლისი ხარ — საბრალო! თვახო ხომ ნიჭი  
უხშობს — ადამიანს. დუსიენი შეუფუძნდა და პასუხი არ  
მისცა.

— მითხარ, როგორი დედაქაცია უნი ცოლი? უთუოდ  
ის ბურჟუა, ისეთი ადამიანი, რომელსაც არც  
იდგალი აქვს და არც რაიმე აზრი.

დუსიენის იმდენად სიმდაბლე იხმარა, რომ წინააღ-  
მდეგობა არ გაუწია ამ კადნიერს სიტევებს. მისი უკრად-  
დება სულ სხვა საგანს ჰქონდა მიპურიაბილი. მან შენიშვი-  
ნისატვრო სტოლზედ ჯაწერიალი სურათი, რომელიც  
მას თავადიშვილმა შეუკვეთა. უთავბოლოდ გატარებულმა  
დრომ სრულიად დაავიწეა მას ესკიზიცა და შეკვეთაც.

დმურთო ჩემო, სოჭვა დუსიენისა, ხვალ უკანასკნელი  
დღე-დაა გამოიყენა სურათების წარდგენისა და მე კი  
სრულიად დამაფიწედა ეს სურათი!

— მერე რა გაწესებს? ხვალ არა, ერთის წლის  
შემდეგ იუვეს.

— შირობა?

— შენ მას გაიმეორებ!

— გონირარი..

— დიახ, სოჭვა გრაფინიამ, შენ სწორებ დარსი  
ხარ შენის უსიცოცხლო ცოლისა!

— ვხედავ გრაფინია, რომ შენ წლიურად სამასი  
ათასი ფრანკი გაქვს შემოსავალი და მეტი არა. სურათი  
მხად არ არის.

— არა, კაისმა სასამოვნო ხმა უკრძალის, სურათი  
მხად არის.

გადასწია ფარდა და სურათი უჩვენს.

ქმარი გაოცებული დარჩა.

დიდს სამხატვრო სტოლზედ მოსჩანდა საუცხოვოდ  
შესრულებული ესკიზი დანიშნული თემაზედ: „გენია კე-  
თილისა და ბორთოსა.“

— საუცხოვოა, შეჭერია დუსიენის, სწორებ ჩემს  
გპბმ: ზეა დახტებული, მაგრამ ვის უნდა დოქტორის ნერი?

— მე, ჩემთ მეგობარი! წენარის კოდოთი უთხა  
უკრძალება.

— განა იცი შენ ხატვა?!

— მონასტერები რამდენისამე წელიწადს გხრავდობ-  
დი და მერე-კი, როდესაც შენ ხატავდი ხოლმე, მედამ  
უკრადებით ვადევნებდი თვალსა. მაგრამ ვის იცის  
რამდენი ფრთა წაგახდინე, ვადრე ამ სურათს დაგხატავ-  
დი მაშატი.

— ერმენ, ჩემთ ერმენ, შენ ამ ქვეუნიური არა  
ხარ, ეგძნებოდა ცრემლ-მორული დუსიენი!

— მშენიერება! წარმოსონება აგრეთვე გრაფინიაში.  
ამ სურათზეა გამოხატული თრი შინდილისახი, რომელის  
შინარსაც შეადგენს „გენია კეთილისა და ბორთოები-  
სა“, თრივ მსაჭულების წინ წამდგარან. სურათი საშუ-  
ალო სუკუნობის გემოვნებას ხედაა დახსტელი. მაგრამ,  
რა არის ეს? ერთი აშათგანი მე ვარ... მე, ბორთო  
სული... მეორე... თქვენა ხართ... გენია კეთილისა...  
ეს ცოტა ვერ არის კარგი! გემოვნება შენიშვინა გრაფი-  
ნიაშ და გამოსყდას აპირებდა, მაგრამ შემობრუნდა და

— ქალბატონო გარნი! მე თქვენს ქმარს „შენთ-  
ბით“ იმიტომ კი არ ვეღამარა გებოდა, რომ რაომე სა-  
ძრასის კავშირი მქონდეს მასთან; არა! მე არ მაქვს ჩემ-  
ულებად გისმეს „თქვენთბით“ გელაშარაკო.

— ვარი გრაფინია! მაგრამ მიგიხვდით რომ ბერ-  
წარათ.

გრაფინია სიბრაზისაგან აქითო, მაგრამ მცირეოდე-  
ნის ფიქრის შემდეგ სოჭვა:

— თუმცა საწევენია, მაგრამ არ შემიძლა არ გამო-  
სოთქა, რომ თქვენ მშენიერი და მამაცი ქალი ხარი  
მშეიდობით, ბატონო დუსიენ!

გრაფინია წავიდა.

— ერმენ, ჩემთ ძვიროვასთ დკოაებავ, ეუბნებოდა  
დუსიენი, მაპატი, მაპატი! მე ეხლა წინანდელზედ მე-  
ტად მეუკარები; წინად მე მხოლოდ შენი სილაშტე მომ-  
წონდა, ახლა-კი მიუკარაო! მე მიუგარს ეხლა შენი კე-  
თილი გული, ვაფასებ და მომწონს შენი პირადი დირ-  
სებანი.

თლ. ბეჭ-აგლაძისა.

## ქ რ დ ტ

როცა ძეძვი წამოგედებათ დაიშუებთ ხოლმე მოუთმენლად ფეხების ქნევას, რომ გააცილოთ იგი თქვენს ტანისამოსს. მაგრამ ზოგჯერ ისე მოგეკრობათ, რომ სანამ ხელებს არ მიიშველებთ ვერაფერს გახდებით. ბევრჯელ კი ძეძვი ტანისამოსსაც ჩამოგაფხრეწო და დაზიანებული, წყევლით შორს გადაისვრით.

საუბედუროდ ძეძვი უსულოა.

არაფერს არა გრძნობს და არ ესმის თქვენი უსიამოვნება.

ხვალ მეორე კაცს წამოდება და მიუგლეჯს ტანთსაცმელს ან და თითში შეერქობა და კარგათაც დაუსიებას.

ეს ძეძვის ამბავი მომავონდება ხოლმე, როცა ზოგიერთ ქართველ ინტელიგენტის საზოგადო მოღვაწეობას დაუკვირდები. ჩვენი ცხოვრების ორლობეში ისინი ძეძვისავით მოვედებიან ყველგან.

საქმის უნარი არა აქვთ, შრომა არ უყვართ, უოდნით არაფერი არ იციან, მაგრამ არ არის არც ერთი ქართული დაწესებულება ან სერიოზული საქმე, სადაც ეს მოღვაწენი არ გამოედვნენ...

და თუ მოედებიან, უსათუოდ რაიმე უსიამოვნებას, და ზიანს მოუტანენ.

ვიცნობ ერთ მოღვაწეს.

იგი მოედო ყველა ჩვენ საზოგადოებთ და საქმეებს.

და ყველგან ნაძეძვარ კვალსა სტოვებდა და სტოვებს.

იქ საზოგადოებას გზას უკაფავდა, აქ მთელ დასებულების გამგეობა გადაყენებამდე მიიყვანა.

იქ გაცხარებულ საქმის დროს უშნოდ ამოქნარებდა.

აქ მშრომელ მოღვაწეებს ზედ დახარხარებს, ერთი სიტყვით მოღვაწეობს.

რასაკვირველია, ეს მოღვაწე ყველა საზოგადო კრებაზედ პირველ რიგშია გამოჭიმული.

იგი ხომ ყოველ იღრულ საკითხს უნდა წა-მოედოს,

ძეძვია!

თავმჯდომარენი კრებებისა დიდი პატივისცემით ეპურობიან მას (ვით ჩვენც მოგვედოსო) და რომ არ აწყეინონ სიტყვის ნებას უწესრიგოდაც აძლევენ.

ზოგჯერ გაფაციცებით სთხოვენ კიდევ:

„ბატონი... მართალია, თქვენ ჩაწერილი არა ბრძანდებით, მაგრამ იქნება გსურთ სიტყვა!“

„რასაკვირველია მსურს!“ ბოხი პრიზის მუშავე ხებს ჩვენი მოღვაწე და წამოხტება.

მისი სიტყვა გრძელდება ერთი წუთი, მაგრამ სავსეა ავტორიტეტული კილოთი:

„ჩემი პრაქტიკიდამ... როცა მე ვმუშაობდი... ჩემი მოღვაწეობა.“ ამ ნაირი სიტყვებით იწყობა და თავდება მისი შესანიშნავი წუთიერი „რეჩები“.

მხოლოდ უნდა ნახოთ, როცა სხვა ვინმე ლაპარაკობს და მეტადრე რაიმე სერიოზულს და ჭვიანურს.

მისი სახე იღმიქება, იკლაკნება და სარკასტიულად გადასცერის ყველას.

— fi done! ამბობს მისი სახე.

— რა უჭიურ ხალხია! უნდაპროცესტი განვაცხადო.

და აცხადებს ცხარე პროცესტს.

მერმე დამშვიდებული და კმაყოფილი სავარეცელში დაეშვება და ფეხებ მაღლა აწეული კვლავ ელის

როდის იორჩევენ მას ახალ საზოგადო თანამდებობაზედ.

და ყოველი საზოგადოების წევრიც ჰფიქტობს.

— ეს ძეძვი მე არ მომედოს!..

მოდი თავიდამ მოვიშორო!

და ახლად ირჩევს.

ჩვენი ძეძვიც ახალ საზოგადო საქმეს ეკრიბა.

ნაცარა.

## გუთანი „ბრაბან-დუბლი“

ამას წინად ქართულ სისოფლო სამეურნეო საზოგადოებამ, ბ-ნ ა. ორჯონიქიძის წინადადებით, გადასწყვიტა გამოსკადოს გუთანი „ბრაბან-დუბლი“; ამიტომ უადგილო არ იქნება გაეცნოს მკითხველი თუ რას წარმოადგენს ეს გუთანი და რა უპირატესობა აქვს სხვა გუთნებთან.

ეს გუთანი შესდგება ორ ნაწილისგან, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ორ გუთნისგან (რის გამოც უწოდეს

„დუბლი“) რომელიც სიმეტრიული არის ასხმული თუ მხრივ ერთ საერთო ღერძზე. ღერძი ან მოძრა ვია, ან კიდევ უძრავი. პირველ შემთხვევაში მომუშავე ნაწილნი (ფრთა, სახნისი, საკვეთი და სხვა) შემაგრებულნი არიან უძრავად ღერძზე მეორე შემთხვევაში კი ღერძი რჩება უძრავად და მხოლოდ გუთნისა მომუშავე ნაწილნი ტრიალებენ ამ ღერძის გარშემო.

გუთანი „ბრაბან-დუბლი“ ორ გვარი კონსტრუქციისაა: ფრანგული და ბელგიური. ერთი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ სილრბის რეგულიატორით. ფრანგულ კონსტრუქციის გუთნის სილრბის რეგულიატორი დამოკიდებულია ბურლის ტრიალზე, ბელგიისა კი ბერკეტზე (რჩყაგნ); სივანის რეგულიატორი კი ორთავე კონტრუქციის გუთნისა ერთი და იგივეა ე. ი. დამოკიდებულია თვლების გაწევ-გამოწევაზე. პირველ სისტემის გუთანი, ე. ი. როდესაც ღერძია მოძრავი, უფრო პრაქტიკულად ითვლება და მთელ ევროპაში, უმეტეს ნაწილიდან, ამ გვარი გუთნებია გავრცელებული.

უმთავრესი უპირატესობა ამ გუთნისა არის დროს და ძალის ეკონომია, როგორც ადამიანის ისე პირუტყვის. ჩვეულებრივ გუთნით მხვნელი იძულებულია ყოველ რიგის გატანის დროს, მთატრიალოს გუთანი, შემოუაროს მინდორს და მივიდეს იმ ადგილს. საიდანაც პირველად დაიწყო მუშაობა. „ბ. დ.“ ის გუთნით კი ერთ რიგის გატანის შემდეგ იქვე გადმოატრიალებს, დაუგდებს გუთნის მეორე პირს და ამ გვარად გიტანს რიგსა, მეორედან მესამეს და ასე ამ გვარად ბოლომდე. როგორც ვხედავთ, დროს ეკონომია დიდია. ეხლა ივილოთ ადამიანის და პირუტყვის ძალის ეკონომია. ჩვეულებრივ, ჩვენებური გუთნისთვის საჭიროა გამო-

ცილი გუთნის დედა, რამდენიმე ულელზე მჯდომი ბიჭი და 6—7 ულელი სული პირუტყვისა. „ბ. დ.“ სისტემის გუთნის დროს მუშათა ხელი შემცირდება ნახევარზე. რაც შეეხება შემცირდება, საზღვაო გარეთ (მაგ. ბელგიაში) ორ ცხენის მეტს არ აბამენ. მართალია, ბელგიის ცხენი განთქმულია, მაგრამ ოცნები იყოს სამი ხარის შეტი ძალა არ ექნება. გამოდის ომ ჩვენში ვ ულელი სული პირუტყვისა სრულიად საკმარისი იქნება.

რასაკვირველია, იმის თქმა, რომ ეს გუთანი უეჭველიად ვამოდგება ჩვენში, ნააღმდევია - ამას მომავალი დემონსტრაცია დაგვანახვებს, მხოლოდ არ უნდა დაგვავიწყდეს რომ გუთანი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ უმთავრეს მოთხოვნილებას: ა. უნდა იყოს უბრალო, გამძლე და ამავე დროს სუბუქი, ისე რომ ტყუილ უბრალოდ არ უნდა იხარჯებოდეს არც ადამიანის და არც პირუტყვის ძალა.


ბ. რიმე ნაწილის გაფუჭების ან გატეხის დროს უბრალო მჭედელმაც კი უნდა შესძლოს მისი შეწორება და გაკეთება. რომ ადვილად შეიძლებოდეს მისი გაძლოება.

გ. კარგა ჰკვეთდეს მიწას, როგორც პორიზონტალურად ისე ვერტიკალურად; იმ გვარად რომ მოქრილ ბელტისგან შემდგარი ზედა პირი მიწისა სწორ იყოს.

დ. თიხნარ და ნოტიო ადგილის მიწა არ უნდა ეწებებოდეს გუთანს იმ გვარად რომ იფერხებდეს გუთნის სწორ მოძრაობას.

თუ „ბრაბან-დუბლის“ გუთანი ჩვენშიც იქნება ამ თვისებების დამაკმაყოფილებელი, მაშინ დაგვრჩენია მხოლოდ ვუსურვოთ ჩვენ მიწის დამშავებელთ მისი სწრაფი გავრცელება.

ე. გვალესიანი.



## საკონკრეტო კურსების გამო

ხვალიდან იხსნება საკონკრეტო კურსები ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა. ისეთი დროის შესაფერი პრაქტიკული ნაბიჯი, შეიძლება ითქვას, თითქმის ჯერ არ გადაუდგამს საზოგადოების. ვინც კი გასცნობია ჩვენს სოფლებში არსებულს კონკრეტივებს, უკელა დარწმუნდებოდა, თუ როგორი შემთხვევითი ხასიათი აქვს სოფ-

ლიდ დაარსებას კონკრეტივებისას, ნამეტნავად საკრედიტოსი. და როგორ მდგომარეობაში ვარდება იმის გამო, რომ ადგილობრივ არ მოიპოვებიან საქმის მცირებენი, რომელთაც შეეძლოთ კონკრეტულ ამხანაგობის წარმოება. საკმარისია, ერთს როგორი პირს მოუვიდეს აზრიდ დაარსება საკრედიტო ამხანაგობისა და საქმე გაჩარხულია. სახელ-დახელოდ

იღენს თხოვნას და რამდენიმე ხნის შემდეგ აარ-სებს კიდევც ამხანაგობას. იგი არავითარ ანგარიშს არ უწევს, თუ რამდენად შეეფერება აღაილობრივ პირობებს განზრახული კოოპერატივი, მოიპოვება თუ არა ხალხი, რომელიც აწარმოებს ამხანაგობის საქმეს მის შემედგ. ყველა ეს უმთავრესი საკითხები მისთვის მეორე ხარისხოვანნი არიან და ყურადღებას არ აქცევს. ამხანაგობა არსდება. პირველ ხანებში კარგადაც მიჰყავს საქმეები, მაგრამ აი, მოთავს. საქმის ერთად ერთს თავსა და ბოლოს, უხდება წასვლა იმ სოფლიდან, საღაც დააარსა ამხანაგობა. ვარდება საჯონებელში და იღარ იცის, როგორ გამოსძებნოს ისეთი პირი, რომელიც განავრიძობს მის მიერ დაწყებულს საქმეს. დებნა უჩიად ჩაუვლის, რადგან შესაფერს მომზადებოლს პირს ვერ გამოსძებნას და მიღის იმ დასკვნამდე, რომელსაც დასავომოდა ერთი ასეთი მოთავე და რომელიც სასოწარკვეთილი გინდახოდა, იძულებული ვარ მივმართო საგუბერნიო წერილი კრედიტის საქმეთა კომიტეტს დახუროს ამხანაგობა, რადგან ადგილობრივ არავინ არ მოიპოვება ისეთი პირი, რომელსაც შეეძლოს აწარმოვოს ამხანაგობის საქმეები. ასეთ შედეგს კიდევ შეურიცდება კარი, რომ ასე სახელდახელოდ დაარსებული კოოპერატივი არა სასურველს შედეგს არ იღებდეს, თუ გინდ ისეთს, როგორც მოჰყვა გლდანის საკრედიტო ამხანაგობას, რომელიც დაარსდა ადგილობრივ მღვდლის მითაურიბით და შემდეგ. ამ მღვდლის გლდანიდან წასელით, თუ თავის მინებებით, ამხანაგობა ისეთს მდგომარეობას ში ჩავარდა, რომ გლეხები თავბედს იწყევლიდნენ. კარგია კიდევ გამოსძებნეს საშეელი — გლდანი შეუერთეს ავჭილის და საქმის შეთაურობა ჩაიბარეს ავჭალელს სოფლის მწერალის. ასევე შემთხვევით დაარსდა მეორე საკრედიტო ამხანაგობა გლდანის მახლობლიდ. ამ ამხანაგობის დაარსება მეტად კურიოზულია. საქმის მოთავე, ადგილობრივი მღვდელი მონაწილეობას იღებდა შეზობელ სოფელში არსებულს საკრედიტო ამხანაგობაში, რომელმაც იმდენი კრედიტი არ გაუხსნა, რამდენიც მას ჰსურდა, გულნაწყენმა

გადასწყვიტა უეჭველად და უეჭველად ბანკის გახსნა“ და მართლაც გახსნა. არ გეგონოთ გითომ ხალხის კეთილდღიობისთვის აეკინებინოს ასე. ეს მაინც და მაინც აშკარად სჩანს საანგარიშოს წიგნებიდან, სადაც თვითოჯერ თბილისში ჩასელია წელი რაღაც 12—15 ერთსით არის დაშორებული თბილის 12—15 მანეთი უწყრია ხარჯად. არც თუ თვითონ მიღიავს თავის საქციელს. შეკითხვაზე, თუ რაღ ხარჯავს მიდენს საამხანაგო ფულს, მოგიგებთ: „იმიტომ ვიწვალე ბანკის დაარსებაზე, რომ გამოვრჩე რასმეო“. აი ასეთს სამწუხარო სურათს წარმოადგენს ზოგიერთს სოფლებში არსებული კოოპერატივები და სხვა მრავალი მაგალითებია კიდევ. ყველა ეს აიხსნება იმით. რომ სოფლად არ მოიპოვებიან კოოპერატივის მცულენენი. აქედან კხადია, თუ რამდენად საჭიროა კნობა კოოპერატიულ საქმეთა, ნამეტებად მათი პრაქტიკული მხარისა. სწორედ ეს გარემოება გაითვალისწინა სამეურნეო საზოგადოებამ და განიზრახა დახმარების ხელის გაწვდენა. რამდენად შეასრულებს ამ მიზანს საზოგადოება, ამას მომავალი გვიჩვენებს, ეხლა კი წინდაწინვე შეიძლება ითქვას, რომ კურსები, რაგინდ ნაკლი აღმოჩნდეს, მაინც შესაფერს კუალს დასტოვებს კოოპერატიულ მოძრაობაზე ჩვენში. ლირს შესანიშნავია ის გარემოება, რომ, როგორც სჩანს კურსების პროგრამიდან, პრაქტიკული ნაწილი კურსებისა — ანგარიშის წარმოება, იქმნება ქართულიად. დღეს არსებულს კოოპერატივებისათვის მუშაკთა შოვნას აძნელებს ანგარიშის წარმოება რუსულს ენაზე და ქართული ენა საგნის წარმოებას ძლიერ გაადგილებს და, რაც უმთავრესია, ადგილი აღარ ექნება ისეთ პირად თვითონებობას, რომლის მაგალითიც ზემოდ მოვიყენეთ. ხალხის მომეტებულს ნაწილს შეძლება ექნება თვალყური აღევნოს ამხანაგობის საქმეების წარმოებას და თანდათან აიცილებენ ცუდს შედეგს. სასურაველია, საზოგადოება არ დაკმაყოფილდებს მარტო წრევანდელის კურსებით და შემდეგშიაც ყოველწლივ მოაწყოს იგი.

ს. კ.

## სტატისტიკა ქართულ წიგნთა გამომცემლობისა

ქართულ წიგნთა გამომცემლობის შესახებ საინტერესო ცნობებია მოყვანილი „კავკასიის კალენდრებში“. ცნობები ამოღებულია კავკასიის საცენ-

ზურო კომიტეტის ანგარიშებიდან და ეხება 1910 და 1911 წლებს.

გამოცემული იყო:

პოპულიარულ-პოლიტიკურ შინაარსისა  
სახალხო გამოცემანი  
სასულიერო  
საბავშვო  
კალენდრები, წესდებანი, ინგარიშები, პროექ.და სხ.  
ბელეტრისტიკა  
სამოსწავლო სახელმძღვანელოები  
სამეცნიერო თხზულებანი სხვა და სხვა დარგებისა.

1910 წ.		1911 წ.	
თხუზულებ. რიცხვი	რამდენი წიგნი	თხუზულებ. რიცხვი 115 შეზღუდული	რამდენი შეზღუდული
2	2000	3	4050
22	41500	45	94350
11	21400	11	15900
1	1000	3	4700
9	33800	9	36500
47	69030	74	123780
12	53650	12	82260
24	25380.	29	36700
ს უ ლ 128		250760	186
			397540

როგორც ცხრილი გვიჩვენებს 1911 წინა წელზედ მეტი გამოიცა 146,760 წიგნი. მათ შორის საგრძნობლად მოიმატა სახალხო წიგნების გამოცემამ — 52,850 წ., ბელეტრისტიკამ — 54,500 წ., სახელმძღვანელოებმა — 28610 წ. და სამეცნიერო — 11320 წ. დაიკლო მარტო სასულიერო გამოცემამ

8500 წ. საერთოდ ქართულ წიგნთა გამომცემლობას 1911 წელს შედ რებით 1910 წელთან დიდი პროგრესი დაიტყო. და თუ ამ გზით ივლის, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ქართული ეროვნული ცხოვრებაც შესამჩნევად წინ მიისწრაფვის და ოლორძინების გზას ადგია.

8.



## ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ე ბ ი

სულ მოკლე ხანში ქართულ წიგნის ბაზარზედ ჩამდენიმე ახალი გამოცემა გამოვიდა. შეუძლებლად მიგვაჩნია მათი დაწვრილებით განხილვა, მაგრამ ზოგიერთ მთავარ გამოცემაზედ საუბარი აუცილებელია. მათ შორის არიან ისეთები, რომლებსაც ახალი რამ შეაქვთ ჩვენს ლიტერატურაში, არიან ისეთებიც, რომლებიც გვაგონებენ გასულ ხანებს და ოანამედროვე მკითხველს აშკარად უხსნიან წარსულის სურათებს და სულის კვეთებას.

პირველ კატეგორიას ეკუთვნიან ს. აბაშელის ლექსთა კრებული „მზის სიცილი“ და ალმანახი გვირგვინი. მათ გარეგნობაზედ ბევრს არას ვიტუვი, მხოლოდ იშვიათად გამოსულა ასე ლაზათიანი გამოცემა, მაგრამ რაც შევხება მათ შინაარსს, აქ სათქმელი ბევრია და ძალიან ვწუხვართ, რომ დრო და გარემოება ამის ნებას არ გვაძლევს.

„მზის სიცილი“ ლექსთა კრებულია უკვე ცნობილ მგოსნის ს. აბაშელისა. ს. აბაშელი, ეჭვი არ არის, ნიჭიერი აღამიანია, მის ლექსებში ბევრი სტი-

ლი და ფილოსოფია არის, მაგრამ იგი გვაიძულებს ვსოდვათ, რომ მისი ფანტაზია ერთხელ აკვირებულ მზის სფეროს ვერ გასცილებია. მის „,მზის სიცილიზი“ ისევე ბევრია სილამაზე, როგორც თვით მზე-ში, მაგრამ ზოგჯერ მისი პოეზია ისევე მომაბეზრებულია, როგორც პაპანაქება იმავ მშვენიერ მზისა. რად ხდება მეტე ესა? ნუ იფიქრებთ, რომ ს. აბაშელის ლექსს არ ჰქონდეს აზრი, არ ჰქონდეს სტილი, ნა-პერწყალი ზეშთაგონებისა! მაგრამ მის აპოლოგიის აკლია ის, რასაც ვეძახით „ჯავარს“. ერთფეროვანობა გვაიძულებს ვსოდვათ, რომ ს. აბაშელი აკლია მრავალი სტიშული შემოქმედებისა. ყოფნა რეგიონთა შორის, წინსვლა წინააღმდეგ სტიქიონისა, ავი-აციის ხანაში პოეტისთვისაც ისევე საძებარი და სა-ნუკვარია, როგორც პილოტისთვის. მაგრამ პილოტ-სა და პოეტს შორის ის განსხვავება, რომ ერთი ამუშავებს მექანიკას, მეორე ფსიხიკას და ყოველ პოეტურ აღმაფრენას თვისი რეალური კონსექვენციუნდა ჰქონდეს.

კოსმოსი ისეთი მომხიბლავი რამ არის, რომ დაწყობილი შაბლონურ ასტრონომიულ გამოკვლევიდან, კაცს უდიდეს პოეტურ აღმაფრენამდე მიიყვანს; მას შეუძლია მართლაც აიტაცოს აღამიანი მაღლა, მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ისეთი „ამაღლება“ აღამიანისა უკვე მისტერიაში გადადის და იქ, სადაც მისტერია სუფევს, ნამდვილ პოეზიას აღვილი აღარა აქვს.

მოუხედავად ამისა. ჩვენ მაინც საღამს უძლვნით ახალგაზრდა ნიჭიერ მგოსანს და ვიმედოვნებთ, რომ მისი კრებული უკანასკნელი არ იქნება ქართული ლიტერატურისათვის.

ფრიად საყურადღებოთ არის შედგენილი აღმანახი „გვირგვინი“. აქ არის წერილები გრ. რობაქიძისა, მიხ. წერეთლისა, პოემა სანდრო შანშიაშვილისა. ნაწერები ს. ფირცხალავასი და ბოლოს ოიდიპოს მეფის თარგმანი პ. ქვეთარაძისა. ყველას ყურადღების ძალაუნებულად მ. წერეთლის „სუმერული და ქართული“ იპყრობს. იპყრობს უპირველესად იმიტომ რომ, თვათ ტემაა საყურადღებო და მეტად ახალი ქართული საზოგადოებისათვის, მეორედ კი და უმთავრესად იმიტომ ყველას ეინტერესება მ. წერეთლის ლინგვისტისა და ორიან ტალისტის როლში. მ. წერეთლი ნიჭიერი პუბლიცისტი და ქართველი სოციოლოგია და ჩვენ რ ვიცით, საბოლოოდ შეუდგაიფი ენათა ძიების მეცნიერებას, თუ; როგორც თვითონ ამბობს თავის საყურადღებო შრომის ბოლოში, იძულებული იყო მოეკიდა ხელი ამ ჩვენთვის, ქართველებისათვის ფრიად საყურადღებო საკითხისათვის. როგორადაც უნდა იყოს, მისი ახალი შრომა ახალი წვლილია ჩვენს ლიტერატურისათვის და ვიმედოვნებთ ქართველი ლიგვისტები მაღლ დაინტერესდებიან იმ საკითხით, რომელსაც ქართველებისათვის ფარდა პირველად მ. წერეთლმა ახადა.

\*\*

ახალ გამოცემათა მეორე კატეგორიის ძველი ავტორთა თხზულებანი ეკუთვნიან. ესენი არიან: „თხზულება გიორგი მაჭისიმეს ძის ქოჩაკიძისა (ქალა დიდელისა) და ილია კუმისის ნაწერები.

ქალადიდელი ჩვენში საკმაოდ პოპულიარული მწერალია. მისი „მიყვარს ფაქა“ და „მახსოვს პირველად“ პირდაპირ სახალხო ლექსებად გადიქცნენ და მის შემქმნელს მუდმივი სახელი მოუხვევს. სამშობლო ლიტერატურის მოყვარულთათვის და მეტადრე ყველა ჯურის რომანტიკოსებისათვის ქალადიდელის ლექსთა თხზულებანი პირდაპირ ძლვე-

ნია. წარსულის სიო მოჰქმის წიგნის ფურცლებიდან, იმ წარსულისა, როცა ხელახლად ეწყობოდა და რომ ძინდებოდა ჩვენი ლიტერატურა. იმდენი რამ არის ამ წარსულში სატრაფილო და მოსაგრონებელი; რომ თქვენ ვერ გაგაოცებთ ვერც სტილი მაშინდელ მწერლებისა, ვერც მიმართულება, ვერც ენა. პარმონია ქალადიდელის ლექსებისა მწყობრი არ არის, მაგრამ არ შევიძლიან უგულისძეროდ წაიკითხოთ მისი ლექსი. ინდივიდუალობა მგოსნისა იგივე ლვინია, რაც უფრო ძველი — მით უკეთესი და როცა კითხულობთ ქალადიდელის ლექსს, თქვენ არ გაშინებთ ის აზრი. რომ თანამედროვე მგოსანი სხვანაირად იტყოდა მას, რასაც ქალადიდელი ისე გატაცებით ამბობს, თუ გნებავთ ისე მოუხეშავადაც...

მეოთხე წიგნი ეკუთვნის ბატონ ილია კუმისის. წიგნი საკმაოდ ვრცელია და შიგ თავი აქვს მოყრილი ყველა იმ მასალას, რაც კი უბრჭდია ავტორს სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა პერიოდულ გამოცემებში. აქ არის ლექსები, პოემები, თარგმანები, მოთხრობები, პიესები და მრავალი წვრილმანი მასალა, როგორც პუბლიცისტური, აგრეთვე ბიბლიოგრაფიული. ყველა ეს ჯერ იმის წარმოდგენას იძლევა, თუ რა მრავალ ფეროვან საკითხებით და დარგებით იყო დაინტერესებული თვით ავტორი და შემდეგ რითი საზრდოობდა მრავალ ხნის განმავლობაში ქართული ეურნალისტიკა. ერთ დროს ქართულ გამოცემებში მრავალი იბეჭდებოდა სხვა და სხვა პატარა სცენები, სამხიარულო მინიატურები და ვერ შეხვდებით ვერც ერთ იმ დროულ მწერლის გამოცემას, რომ ისეთ მასალას არ ჰქონდეს შიგ დაომობილი აღვილი. ეს დამახასიათებელი თვისებაა ქართულის ეურნალისტიკისა. შეიძლება იფიქრონ, რომ ამ მასალით მაშინდელი რედაქტორები მკითხველს იზიდავდნენ. ასეთი სცენები გვხვდება გ. ჭალადიდელის თხზულებაში, ამასვე ვხედავთ. ბ. ილია კუმისის ნაწერებში. საზოგადოთ საჭიროა ყველა ნაწერების თავ მოყრი, რომ მომავალ ისტორიკოსს ქართულ ეურნალისტიკისას მასალა ჰქონდეს სხვა და სხვა ხანათა დასახასიათებლად. ილია კუმისის ნაწერები კი ისეთ ისტორიკოსს დიდ სამსახურს გაუწევს.

\*\*

## ბალგანეთის ამბები

მახვილის ამღები მახვილისაგან გაიგმირების, ნათქვამია, და ეს სიტყვები ისე არავის შესწყობია, როგორც ახალგაზრდა ბულგარეთს. რა თავგამეტებით, რა ერთსულოვნად შემოიკიბა გარშემო ბულგარეთის სლივიანები და ბერძნები, რომ ოსმალეთის სიძლიერე დაეცა და მმათა განთავისუფლებისათვის სისხლი დაენთხია. კავშირის ძალა სწორედ ამ ერთსულოვნობაში იყო და სრულიად მოულოდნელ, განსაცვიფრებელ შეჯეგებს მიაღწია. პატარა და უძალო სახელმწიფოთ მიწასთან გაასწორეს და კუნიამ ევროპის კიდევებიდან სრულიად განდევნეს ძველი დგანვე ძლიერად და ლიდ სახელმწიფოდ ცნობილი ოსმალეთი. უველგან დაამარცხეს, წაართვეს ციხესალიაქები, ჯარი გაუნახევრეს და სამმალის კარებს მიადგნენ თითქმის. ერთობა, მოკავშირეთა უძლიერეს თავდებად შეექმნათ და ლელო გაიტანეს იქ, საკა ცალ-ცალკე ერთ ბელტსაც ვერ აბრუნებდნენ. მაგრამ თვით მოულოდნელმა გამარჯვებამ დახვია თავბრუ მოკავშირეთ და უველამ შეტი ნაუდავლი მოინდომა, ვიდრე პირობით ერგებოდა. ბულგარეთს, როგორც უძლიერესს მებრძოლს ოსმალეთთან ომში, საღერძელი აეშალო კეგემონიისა და უკმეხად იჩემებდა პირველობის ბალკანეთის ახალ კონცერტში; სერბია ტერიტორიის გაფართოებას შეეცადა ნამეტავად და თავის წადილში თვით ოსმალებს გადააჭარბა სისასტიკით, სდევნიდა უველაფერს, რასაც სერბიელი ხასიათი არა ჰქონდა და „მმათა განთავისუფლება“ მმათა დაჩიგვრად იქცა; ბერძნებმა ხომ სხვებზედ მეტად სხვისი ხელით ნარი გლიჯეს. უველა ამ შეხეთქებამ იქამდის მიაღწია, რომ ბულგარეთი, როგორც უფრო ძლიერი მეტოქე ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედ, განმარტოებული დარჩა და ახლა მას გამოუცხადეს სასტიკი ბრძოლა დანარჩენ მოკავშირეთ, რომელთაც მიემხრო რუმინიაც. ოსმალეთთან ბრძოლაში ქანც გამოლეული ბულგარეთი, რომელიც უკანასკნელ დროს მარტოდ-მარტო ებრძოდა მტერსა, ვეღარ დახვდა მედგრად დასვენებულს და უფრო მომზადებულს მტერსა და უველა მხარეს სასტიკად დამარცხება-დამარცხაზედ განიცადა. სერბია, საბერძნეთი, რუმინია, უველა იმასა სცდილობს შეასუსტოს ბულგარეთი და მის ძალის დაუპირდაპიროს სხვა რამ ძალაც მახლობელ აღმოსავლეთზედ. მაგრამ უველაზედ საინტერესო ის არის ამ ზედამოვაში, რომ დამსხვეული ოსმალეთიც კი ფხას იჩენს და, როგორც

გაზეთები იუწყებიან, ირა მარტო ისწორებს საზღვრებს, არამედ ადრიანოპოლიც დაიმოვნება. ის ადრიანოპოლი, რომლის კედლებმა დიდი ხნის და მედგარი ალყა განიცადეს, ვიზოგ-და-დანებდებოდნენ მტერსა, ის ადრიანოპოლი, რომელიც თითქმის ერთად ერთი ადგილი იყო, რომელსაც მთელი ოსმალეთი მართლაც გულის ტკივილით ჰყარვავდა.

დამარცხებული ოსმალეთი, რასაკვირველია, ვეღარ მოიდგამს სულს იმდენად, რომ უკელაფერი დაიმოვნოს ან გამაგრდეს მაინც ლონივრად ევროპის მხარეს, მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გუშინდელი პოლიტიკური მტრები, ერთმანეთის ყველის მღალებრელნი, დღეს ერთად მოქმედებენ იმ ბულგარეთის წინააღმდეგ, რომელიც ვითომ სლავიანთა ოჯახის უფროს ძმბას ეწეოდა. სწორედ ისე, როგორც დიდი სახელმწიფონი ძმბისა და სიუვარულის სიტყვებს მარტო იმიტომ ხმარობენ, რომ უკეთ დაწვერონ ხიშტები და უკმბარები დაამზადონ, ისე პატარანი იფარივდნენ თივს ძმბასა და თავისუფლებით, რომ საკუთარი პოლიტიკური სიძლიერე შეეძინათ. რასაკვირველია, ბულგარია მათში უველაზედ ჩეტ პოლიტიკურ მოთხოვნილებათ წარადგენდა. პოლიტიკურ ქიშპობაში ძმბა და სიუვარული პირბადეთაც კი იღარავის აღვება და „ძმბის“ დამცველები დღეს საკუთარ ძმებს უარესი სიფიცით ლადრაფენ ყელსა, ვიდრე „მტარვალ“ ოსმალებს. და ამ „ძმათა“ სისხლის ღერაში ძალიან მეგობრულიად იშველიებენ გუშინდელ მოსისხლეს.

რუმინიის დიდი ხანია უნდოდა ამ პრძოლიში შეეყო ცხვირი, რომ თავისათვის რამე გემრიელი ლუკმა გამოენახა და აბლა, როცა მოკავშირენი შეიძნენ გაფიცხებულ იმში, საბაბიც იპოვა. „წონასტირობა ბალკანეთზედ“ და ბულგარეთს აციკების სანაპიროებს.

უეპეველია, ბულგარეთი იძულებული იქნება დაუთმოს უველგან გამარჯვებულ მტერს და თავის ქერქში დაეტიოს, თუ არა სურს დაბადების უმალვე ის დღე დაადგეს, რაც ოსმალეთის კიდევ დაუთმობს „ძმებსა“, მაგრამ ჯერ არავინ იცის კიდევ სად ამოპყოფს თავსა ბელონის მახვილი—ერთხელ აშვებული საომარი უინი ჯერ მალე არ დასცრება და კვლავ გაისმის ხმები ავსტრიის და რუსეთის მობილიზაციაზედ, კვლავ ილვიძებენ ინტერნაციონალურ შეტაკების აჩრდილები.

მეომარი.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.